შეტყობინება შესყიდვის გამარტივებული პროცედურის ჩატარების შესახებ

1. **დამკვეთის/ორგანიზატორის დასახელება:**
   - სააქციო საზოგადოება „თელასი“ (სს „თელასი“)
   - მდებარეობა: საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. №3
   - საფოსტო მისამართი: საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. №3
   - საკონტაქტო ტელეფონი: +995 595710708
   - ელექტრონული ფოსტის მისამართი: gegi.dvalishvili@telasi.ge

2. **ფასების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის ჩატარების საინფორმაციო უზრუნველყოფა:** ინტერნეტ-საიტი: www.telasi.ge

3. **შესყიდვის საგანი: (ერთჯერადი სამედიცინო ნიღაბი - 100,000 ც.) (№330.21.00400)**

4. **მისაწოდებელი საქონლის მოცულობა:** ტექნიკური დავალების თანახმად.

5. **საქონლის მიწოდების ვადები: 2-3 დღე**

6. **საქონლის მიწოდების ადგილი:** ტექნიკური დავალების თანახმად.

7. **ცნობები ხელშეკრულების საწყისი (მაქსიმალური) ფასის (ლოტის ფასის) შესახებ:** ლარი (დღგ-ს გარეშე)

8. **წინადადებების ვალუტა:** კომერციული წინადადება (რომელიც მოიცავს პრეტენდეტნის საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს) წარდგენილი უნდა იქნას ლარში, აშშ დოლარში ან ევროში (დღგ-ს გარეშე).

9. **ინფორმაციის მიწოდების ვადა, ადგილი და წესი:** დოკუმენტაცია ღიად არის ხელმისაწვდომი შეტყობინების მე-2 პუნქტში მითითებულ საიტზე, დაწყებული ამ შეტყობინების განთავსების თარიღიდან. შესყიდვის დამკვეთი/ორგანიზატორი არ არის პასუხისმგებელი აღნიშნული ინფორმაციის დაგვიანებით მიღებაზე.

10. **ფასის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაში მონაწილეობაზე განაცხადების შეტანის ადგილი და დასრულების ვადა:** პრეტენდენტებს შეუძლიათ ტექნიკურ-კომერციული წინადადებები ატვირთონ (მხოლოდ PDF ფორმატი) საიტზე შეტყობინების განთავსების შემდეგ დაუყოვნებლად, საიტზე სტატუსის „დოკუმენტების შეტანა დასრულებულია“ აქტივაციამდე, შესყიდვების ელექტრონულ საიტზე - www.telasi.ge - განყოფილება „შესყიდვები“, ქვეგანყოფილება - „ელექტრონული შესყიდვების სისტემა“ ან ელექტრონული სისტემიდან - tenders.telasi.ge სავალდებულო რეგისტრაციის გავლის შემდეგ. წინადადებების შეტანის ვადა **17:00 სთ-მდე 04.02.2021 წ.**

11. შესყიდვაში მონაწილეობაზე განაცხადების განხილვის თარიღი და ადგილი: შესყიდვის დამკვეთი/ორგანიზატორი ჩაატარებს ტკწ განხილვის პროცედურას 11:00 სთ (თბილისის დროით) **05.02.2021** წ.

12. უარი შესყიდვაზე: შესყიდვის დამკვეთს/ორგანიზატორს უფლება აქვს უარი თქვას შესყიდვის ჩატარებაზე ნებისმიერ დროს შესყიდვის შედეგების მიხედვით ხელშეკრულების დადებამდე, მისთვის რაიმე შედეგების დადგომის გარეშე.

13. პრეტენდენტების მიერ დოკუმენტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები:?

<u>დაინტერესებულმა ორგანიზაციამ ან პირმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:</u>

- კომერციული წინადადება ფორმატში pdf (ასლი ფორმატში Word, ან Excel) ხელმძღვანელი პირის ხელმოწერით. კომერციულ წინადადებაში აუცილებლად უნდა იქნას მითითებული რომელი ინტერნეტ რესურსიდან იქნა მიღებული ინფორმაცია შესყიდვის შესახებ;
- ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან, რომელიც გაცემულია წინადადების შეტანის თარიღამდე არა ნაკლებ 30 დღით ადრე
- ტექნიკური წინადადება

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენი წინადადების განხილვის შედეგების მიხედვით, შეიძლება ჩატარებული იქნას მოლაპარაკებები აღნიშნული ტექნიკურ-კომერციული წინადადებების ფასების შემცირებასთან დაკავშირებით.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შემდეგ სატელეფონო ნომრებზე და ელექტრონულ მისამართზე: +995 (32) 277-99-99 (დამ. 7752); +995 595 710708; (procurment@telasi.ge gegi.dvalishvili@telasi.ge)